საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტ. ხუთშაბათი 13 თებერვალი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ერთობა

ფასი 75 კაპ.

[illegible] 1 თვით 18 მანეთი [illegible] 75 კაპ. [illegible] 1 მან. [illegible] 20 მან. [illegible] 12 ს. [illegible]

[illegible] თფილისი, [illegible] № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. [illegible] 12—18 საათამდე. [illegible]

ტელეფონი 16—62.

№ 35 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 35

გულ დამწვარი დედა მარიამ მეკრავიშვილი, და ნინა, სიძე ვანო, ცოლისძმა ნიძე, ძმები: საშა და ვლადიმერი, რძლები: ელენე და მართასა მეკრავიშვილები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 15 თებერვალს, 12 საათზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი სიძის და ძის

ისიდორე და დარიკო მოგელიძის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

გულ დამწვარი მამა ქაიხოსრო ნიკოლოზის ძე, დედა დარია ნიკოლოზის ასული, და ბარბარე ქაიხოსროს ასული და ძმები ნიკოლოზი და იასე ჯავახიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 30 იანვარს გმირულად მოკლულ იქმნა ახალციხის ფრონტზე მეოთხე პოლკის პრაპორშჩიკი

ირაკლი ჯავახიშვილი

დაკრძალვა სოფელ ძეგვერაში (ქართლი) 15 თებერვალს. 1—1

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები: ალექსი დადგითელიანი, ბესო გოცირიძე, ივანე ქარაზანაშვილი, ალექსანდრე მეტონიძე, არტემ იაშვილი, გიორგი ქარაძე და სამსონ ბურჩულაძე აუწყებენ ნაცნობებს და ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის

გიორგი სიმონის ძე სტაჯაძის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 11 თებერვალს ქ. თფილისში. დასაფლავება პარასკევს წმ. ნინოს სასაფლაოზე დილის 9 საათ. (1—1)

## თფილისის ებრაელთა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის „პოალეი-ციონის“ კომიტეტი

მოუწოდებს ამხანაგებს, თანამგრძნობთ და ყველა მოქალაქე ებრაელებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა

## დამფუძნებელ კრების არჩევნებში

და ხმა მისცენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას № 1.

(2—1)

## დამფუძნებელ კრების საქალაქო საარჩევნო კომისიისაგან

საქალაქო საარჩევნო კომისია აცხადებს საყოველთაოთ, რომ, ვისაც დღემდე არ მიუღია პირადობის ბარათი, შეუძლია მიიღოს 12 და 13 თებერვალს 3—8 საათამდე შემდეგ ადგილებში, ხოლო არჩევნების დღეებში ყუთებთან საარჩევნო უბნებში.

1. პირველ კომისარიატის მოქალაქენი მიიღებენ საქალაქო სკოლაში, ოლღას ქუჩა სახლი № 52.
2. მეორე კომისარიატის—დარიბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახლი, სასამართლოს ქუჩა.
3. მესამე კომისარიატის—პირველ ვაჟთა გიმნაზიაში, გოლოვინის პრ.
4. მეოთხე კომისარიატის—მანთაშევის ქარვასლაში, სომხის ბაზარი, № 62.
5. მეხუთე კომისარიატის—პუშკინის საქალაქო სკოლაში, არსენალის მოედანი.
6. მეექვსე კომისარიატის—ნადლერიის თავშესაფარის შენობაში, რეილერის ქუჩა.
7. მეშვიდე კომისარიატის—ივლიანეს კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქ. № 1.
8. მერვე კომისარიატის—პირველ კომერ. სასწავლებელში, 19 თებერვლის ქ.
9. მეცხრე კომისარიატის—პეტრე დიდის სახელობის საქალაქო სკოლაში, ჩუბინიშვილის ქ. № 29.
10. მეათე კომისარიატის—ზუბალაშვილის სახალხო სახლი, კირიჩნი ქ.
11. მეთერთმეტე კომისარიატის—ნაძალადევის თეატრში, ჩუბინაშვილის ქ.
12. მეთორმეტე კომისარიატის—რკინის გზის სამოქ. სასწავლებელში. შერემეტიევის ქ.
13. მეცამეტე კომისარიატის—საზოგადოების თეატრში.

საქალაქო საარჩევნო კომისია. (2—2)

ეშმაკი და თაგუნა

„ახირებული“

რვეული I.

საწყობი „ერთობის“ კანტორაში.

## განცხადება

საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოების მთავარი სამმართველო

იწვევს

ექიმებს, ექიმის თანაშემწეთ და მოწყალების დებს

მფრინავ რაზმში ჩასარიცხად.

ჩარიცხვა და პირობების გაგება შეიძლება წითელ ჯვრის საველე საწყობის კანცელარიაში (საბჭოს შენობა) (1—1)

## არჩიეთ სოციალ-დემოკრატები

ხვალიდან დაიწყება დამფუძნებელი კრების არჩევნები და გაგრძელდება სამ დღეს.

ყველა მოქალაქე ამ დღეებში უნდა მივიდეს საარჩევნო ყუთთან და თავის აზრი გამოსთქვას საქართველოს ბედის და მომავლის შესახებ.

დამფუძნებელი კრება უნდა გახდეს სარკე ჩვენი ხალხის სურვილის, მისი დაუჯდომელი, დაფიქრებული, ორი წლის რევოლიუციური გამოცდილებით შეძენილი აზრისა და შეხედულების. უნდა დაინახოს მთელმა მსოფლიომ, ყველა მტერმა და მოყვარემ ნამდვილი გულის ზრახვა მთელი ხალხის, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს.

ამას ორი მხრით აქვს მნიშვნელობა. შინ ჩაჩუმდებიან ისინი, ვინც ხალხის მტრობას აქტორებს გულში და ხალხის სახელით კი ხარვეზდებოდნენ თავის მეტოქე სურვილების გასახსენებლად. გარეთ მტერი დარწმუნდება იმათ, ვინც საქართველოს დემოკრატიის არსებობას ვერ შეურიგდება და კვლავ ფიქრობს ჩვენი ხალხის მონობის უღელში გაბმას.

შინ დამფუძნებელი კრება შეკრებს და შეაერთებს ყველას, ვინც ჩვენი ქვეყნის ერთგული და მისი წარმატების ხელის შემწყობა აქვს მიზნად დასახული. გარეშეთა წინაშეც იგი აშით გააძლიერებს საქართველოს ძალებს და გააძლიერებს მის დემოკრატიულ წყობილებას.

მერე ვის უნდა მივანდოთ ეს საქმე? ვის უნდა ჩააბაროს ხალხმა ბედი თავისი ქვეყნის?

რასაკვირველია თავის თავს. ხალხი თვითონ უნდა გახდეს მჭედელი თავის მომავლის. იგი თვით უნდა იყოს ბატონი და პატრონი თავის ქვეყნის. ყველაფერი ხალხისაა და ყველაფერს უნდა ხალხმა მოუაროს.

და მისი არჩეული უნდა გახდნენ მხოლოდ საუკეთესო იარაღი, გზა და საშუალება ხალხის ამ მოქმედების. ცხადია, ამ არჩევნებში ხალხმა უნდა იმას მიანდოს ეს, ვინც მის ერთგულებაში გაზრდილია, ვინც მას ჭირსა და ლხინში გამოცდია, ვისი ნდობა მასში შეურყეველია.

ხალხი აირჩევს თავის პარტიას, თავის პარტიის სიას, რომელსაც ის იცნობს სიტყვით და საქმით, ბრძოლით და მუშაობით. იცის მისი ხელმძღვანელობის უნარი, მისი პოლიტიკური შემოქმედების ნაყოფიერება.

ესაა საქართველოს სოციალდემოკრატია, რომელიც დღესაც განაგებს საქართველოს ბედს და აქამდე ბრძნულ გამჭრიახობით აცილე თავიდან ჩვენს ხალხს ყოველი ხიფათი.

მუშათა მკერდმა დაიცვა ჩვენი ქვეყანა. იგი დაიცავს მას შემდეგშიაც. და მუშათა პარტია, პარტია ყველა მშრომელი ხალხისა, ესაა საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიაა.

და ჩვენ ვურჩევთ ყველა გულწრფელ დემოკრატს, ხმა მისცეს ამ პარტიის სიას № 1. განსაკუთრებით ჩვენ მივმართავთ ყველა იმ ერების დემოკრატებს, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ. დაცვა მათი ინტერესების, მათი კულტურული და სოციალური საჭიროებების შეუძლია მხოლოდ სოციალდემოკრატიას. ნაციონალისტური პარტიები მათ გათიშვას ემსახურებიან, ჩვენი პარტია მათი გაერთიანების ბურჯია.

მტერი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, იგი მოდის არა მარტო ქართველების შესამუსრავათ, არამედ ყველა დემოკრატების გასანადგურებლად.

მით უფრო საჭიროა ყველა ერის წრფელი დემოკრატიული ძალების გაერთიანება ერთი დროშის ქვეშ, როგორიც არის წითელი დროშა საქ. ს. დ. მ. პარტიისა. საერთო ძალით შევიძლებთ ჩვენ ყველა მტრების მოგერიებას, შინაური და გარეშე საფრთხისაგან თავის დახსნას, დამფუძნებელი კრების გაძლიერებას, და ასე იმ რესპუბლიკანური დემოკრატიული წყობილების განმტკიცებას, რომელიც მშრომელ ხალხს მიანიჭებს ბატონობას სახელმწიფოში და გაუადვილებს გზის გაკაფვას მომავალი სოციალისტურ წყობილებისაკენ.

ერთად ერთი პარტია მშრომელი ხალხისა ესაა საქ. სოც. დემ. მუშათა პარტია. ხმა მიეცით მის სიას № 1.

## პრესა

რუსულ „სოც. დემ.“ ძლივს მოახერხა იმის თქმა, რომ დენიკინის შემოსევა—რეაქციის შემოტევაა თავისუფლების და დემოკრატიის წინააღმდეგ. ამით ცხადია, რომ აქ, ჩვენში დემოკრატია არის გამეფებული და არა ის „კონტრ-რევოლიუცია“, რომელზედაც საარჩევნო ლიტერატურაში ასეთი გატაცებით ლაპარაკობდნენ.

მაგრამ „მშაკის“ ხელმძღვანელთ, რომელნიც მათი მომხრენი არიან, შერცხვენიათ ამ ახალი კილოს ცდების და დენიკინის შემოსევის ბრალიც კი სწერს ჩვენს მთავრობას მოახვიოს თავზე.

აი, რას სწერს „მშაკი“ (№ 32) მოწინავე წერილში, სათაურით: „ჟორდანია თუ დენიკინი“.

„დაიწყო სამხედრო მოქმედება მოხალისეთა ჯარის და საქართველოს შორის სოჭის ოლქში. საბაბი სადავო საზღვარია. ხდება ის, რაც მოხდა ლორეში, რაც ხდება დღეს ახალციხეში. საქართველოს უნდა მხოლოდ მოგროვდეს თავისი ისტორიული საზღვრებში და გაადიდოს თავისი ქვეყანა ისეთნაირად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი მომავალი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება. მეზობლებიც ამაზე ფიქრობენ და აქ ინასკვება წინააღმდეგობის და შეტაკების ჯადოსნური წრე.

„რა თქმა უნდა, რომ საქართველოს მოქალაქენი, რომელთაც თავიანთი ბედი შეუკავშირებიათ ამ ქვეყანასთან, მოვალენი არიან მუყაითად თვალყური ადევნონ მის ინტერესებს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქე მოვალეა გააფრთხილოს ქვეყნის მთავრობა იმპერიალისტურ მიზნებისაგან, დაახსნას ავანტიურისაგან და საჭირო შემთხვევაში ხმლით გამოვიდეს თავის ქვეყნის საზღვრების დასაცავათ.

„მაგრამ ეს ანბანური ჭეშმარიტება საქართველოს ეხლანდელ პირობებში ხდება კრიტიკის და უთანხმოების საგნათ. ქართველი მთავრობა და ქართველი ხელმძღვანელი პარტია—საქართველოს სოციალდემოკრატია—აწარმოებენ იმისთანა პოლიტიკას, რომელსაც შეუქმნია უკმაყოფილების მთელი ლეგიონი არა თუ ქვეყნის საზღვრების გარეთ, არამედ—შიგნითაც. ეროვნული განსხვავება გამხდარა ქართველ სოციალ დემოკრატიის სიკეთეთ, რომელიც ძირს უთხრის ყველაფერს.

„სინამდვილე აი ეს არის. ეროვნული განსხვავება და დევნა თავის უსინდისობებით, მაგრამ მუდამ გაისმის, ამასთანავე, რომ საქართველო დემოკრატიული სიკეთეების ერთად ერთი ღვთით შენახული ადგილია, მაგრამ საქმე სიტყვას არ შეეფერება და როცა გარეშე ხიფათები ალხდებიან ქვეყნის წინ, მაშინ ჩნდება იმისთანა უთანხმოება, რომლებსაც შეუძლიათ ქვეყანას თავს დაატეხონ საშწუხარო შედეგები. საქართველო ამ მხრივ მოგვაგონებს ძველ რუსეთს, როცა მისი მოქალაქენი თავიანთ გულში ინახავდნენ დამარცხების გრძნობებს.

„რა უნდა იყოს მაშასადამე? ერთი რამე მხოლოდ: რომ მართლა ჟორდანია დემოკრატი და მიმხედველი იყოს, დენიკინი კი—პრივილეგიის მქონეთა მეთაური და უსვინდისო. უკეთუ საქართველო თავის შინაგან და გარეშე პოლიტიკით არ დადგება დემოკრატიის ნდობის სათანადო ნიადაგზე, მაშინ უნდა ითქვას, რომ მის მოქალაქეთა ერთი დიდი ნაწილი გულგრილად დარჩება თავის ქვეყნის ბედისადმი.

„ვისთვისაც ბევრი მიუციათ, მას ბევრსაც მოსთხოვენ. შევქმნათ საერთო შინაგანი დემოკრატიული ფრონტი, რომ მაგრათ და შეუდრეკლად იყოს გარეშე ფრონტიც. მხოლოდ ამ პირობებში არ იქნება შესაძლებელი ლაპარაკი დემოკრატიის მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე და მისი გამარჯვებაც უზრუნველყოფილი იქნება“.

ჩვენ სრულიად მოვიყვანეთ ეს წერილი, რომ მკითხველმა გაიგოს, რა კილოზე სწერენ სომხურ ენაზე ჩვენი ყოფილი ამხანაგები, როგორ უნერგავენ იგინი სომხის დემოკრატიას ეროვნულ სოლიდარობის გრძნობას.

სოჭის დემოკრატია, განურჩევლად ეროვნებისა, განსაკუთრებით რუსის დემოკრატია, იცავდა აუცილებლობას საქართველოს მფარველობის ქვეშ დარჩენისას. ჩვენი მთავრობა სულაც არ თვლიდა საჭიროდ თავისთვის ამ ოლქის დაპყრობას და იქ ჯარების ყოლას. მხოლოდ დემოკრატიის დაჟინებითი მოთხოვნის გამო იდგა იქ ჩვენი ჯარი. ცხადია აქ საქართველოს იმპერიალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია. „მშაკის“ ულტრა-ინტერნაციონალისტებმა კი ეს დაუმალეს თავის მკითხველს და საქართველოს მთავრობას ადებენ ბრალს ამ დენიკინის შავბნელ საქმეში.

[illegible]მანი არ. ზურაბოვი, რომელიც ამ გაზეთის მაბლობელი ხელმძღვანელია, კრებებზე სულ სხვა ენით ლაპარაკობდა მუშების წინაშე. იქ მან იცოდა, რომ იმპერიალიზმი მოდის პატარა ქვეყნების დემოკრატიის ჩასაყლაპავად და შავი რეაქციის გასამეფებლად. სომხურ აუდიტორიის წინაშე კი მისი გაზეთი სულ სხვას სწერს. რას ნიშნავს ეს ორპირობა?

ნუ თუ იმიტომ დასჭირდა ამ გაზეთს სომხის მკითხველის წინაშე ჩვენ წინააღმდეგ გამოსვლა, რომ სომხის წრეები გვერდით მისდევენ სოჭში შემოსულ დენიკინის რეაქციონერებს?

ნუ თუ სომხის წრეების რეაქციონური, ბნელი, შავრაზმული მოქმედების გასამართლებლათ?

და ეს არის კლასობრივ ბრძოლის გადავიწყება სომხის ერში, რომელსაც „მშაკი“ მაზნათ იახავდა და რომელსაც ყოველ ფეხის გადადგმაზე ლალატობს?

იქნება „მშაკს“ ჰგონია, რომ ამით დიდ სამსახურს უწევს სომხის ხალხს?

მაგრამ ბ. არ. ზურაბოვს შეეძლო ეთქო თავის რედაქციისთვის, რომ დენიკინის შემოსვლა სომხის დემოკრატიასაც და რუსის მუშასაც იმ დღეში ჩააყენებს, როგორიც ქართველს. იგი ყოველი მუშის და დემოკრატიის მტერია და ყველას განადგურებას უქადის. ნუ თუ ამის თქმა არ იყო საჭირო სომხის მასსისათვის?

„ჟორდანიამ უნდა ისწავლოს დემოკრატიზმიო“ ამის ნაცვლათ ლაღლაღებს ეს დრამა პოლიტიკოსები. ეს ნიშნავს სომხის მასსისათვის თქმას: ჟორდანიას ნუ გაეკარებითო. და რომ ამას შედეგათ მოჰყვება თვით მათი გასრესა, ეს გაზეთს არ აფიქრებს. მას აქვს გამოსავალი რომ: ჟორდანიამ დაშალა ერთობა, იტყვის და ასე დემოკრატიის უბედურებაზე შეეცდება თავის მჭლე კაპიტალის შეძენას. მაგრამ ხალხის დარბევაზე ვის რა შეუძენია, გარდა შავი ძალებისა?

და ნუ თუ მისი სამსახური აქვთ მიზნათ „მშაკის“ ხელმძღვანელებს?

* *
*

„ჰარაჩი“ (№ 25) ეხება სოჭის ამბებს, დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ დაიკავეს ქართველებმა სოჭი და, სხვათა შორის, სწერს შემდეგს:

„ცხადია, რომ სოჭის ეპიზოდს აქვს თავისი ისტორია და ამაოთ ცდილობს „ბორბა“ პირ-დაორბლიანი დაამტკიცოს, რომ დენიკინის შემოსევა სოჭის ოლქში სანახის ეპიზოდის გამომხატველი არის და კავშირი აქვს ჰერიოს მოქმედებასთანო.

„მოსახდარი ხელშეკრულობის წინააღმდეგ ქართველმა მთავრობამ, გატაცებულმა იმპერიალიზმით, ახლათ დაიწყო მოლაპარაკება „ძველი საზღვრების აღსადგენათ“... და როგორც მუდამ, მოლაპარაკების შედეგმა აიძულა ორივე მხარეები მიემართათ ხმალისთვის.

„რა აკვირველია, ჩვენ ვერ გავამართლებთ დენიკინის ჯარის ერთბაშათ თავდასხმას, რის გამო დაზარალდება ადგილობრივი მოსახლეობა. და თუ მეორე მხრივ მხედველობაში მივიღებთ ადგილობრივ ხალხის განწყობილებას, მაშინ ჩვენთვის გასაგებარი ხდება თვითმპყრობელური და დემოკრატიის წინააღმდეგი წყობილების თაყვანისცემლების ეს ახალი ავანტიურა, რითაც, ვფიქრობთ, ძალიან დაზიანდება მხოლოდ მშრომელი ხალხი.

„ჩვენთვის აგრეთვე გასაგებარია ჩვენი მთავრობის მისწრაფება ეკჰველათ დაიკავოს და „უდავო“ გახადოს ეს მიწა, რომელიც სრულიად ქართველისა არ არის. სოჭის ოლქში ქართველები შეადგენენ მოსახლეობის ერთ მეოცეულ ნაწილს, მეტს არა და არც ისტორიულათ, არც ეთნიურად, არც ეკონომიურათ არ შეიძლება ამ პოლიტიკის გამართლება. ამით აზმარებს თავის სამხედრო ძალებს საქართველოს მთავრობა თავის მავნებელ აგრესიული პოლიტიკის განსახორციელებლათ. მაშასადამე, ჩვენ საჭიროთ ვთვლით, რომ მთავრობა ეცადოს მშვიდობიანის გზით გადაჭრას საკითხი.

„და უკეთუ რომელიმე ხიფათი ემუქრება საქართველოს დემოკრატიულ საქმიანო-

# დღეს

სტამბოლში შემდგარ კომიტეტს, რომლის სათავეში რიზა ფაშაა, მიზნათ დაუსახავს ბათუმის, არტაანის, ყარსის ოლქების და ახალციხის მაზრა შეუნარჩუნოს ოსმალეთს. თუ ეს არ მოხერხდა, იმ შემთხვევაში ამ ოლქებიდან და მაზრიდან აპირებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შექმნას.

---

ბორჩალოს მაზრის გენერალ გუბერნატორობა დაევალა თფილისის და მისი მიდამოების გენ.-გუბერნატორს მაღლაკელიძეს.

---

შეთანხმების სახელმწიფონი დროებითი ზავის განახლების დროს სასტიკ პირობებს წააყენებენ. მოითხოვენ კანტროლს გერმანიის ჯარის დემობილიზაციაზე.

---

პოზნანში გერმანიის და პოლონეთის წარმომადგენელნი შეიკრიბნენ ზავის პირობების შესამუშავებლად.

---

მოსკოვში ბოლშევიკებმა მოლაპარაკება დაიწყეს ესერებსა და სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრების წარმომადგენლებთან.

---

ბას ჩრდილოეთიდან, მაშინ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამ ქვეყნის დემოკრატია ერთგულად ფეხზე დადგება თავის ინტერესების დასაცავად კონტრ-რევოლიუციონური ელემენტების წინააღმდეგ".

„ჰორიზონის" კილო, როგორც ვხედავთ, ძალიან უახლოვდება „მშაკის" ნალაპარაკევს. ორივე გაზეთი—ერთი ზურაბოვის ტიპის სოციალისტების, მეორე—დაშნაკელების—ერთნაირათ მეტყველობენ.

ორივენი ერთნაირათ ამახინჯებენ ფაქტებს. ჩვენს მთავრობას აწერენ განზრახვებს ამ ოლქის შემოერთებისას, თუმც ჩვენმა წარმომადგენლებმა არა ერთხელ განაცხადეს სულ წინააღმდეგი. რათ მოსდით ეს ამ გაზეთებს?

ამას გაიგებს მკითხველი—თუ გაითვალისწინებს ერთ გარემოებას. არც ერთი გაზეთი არას ამბობს იმაზე, რომ ადგილობრივმა სომხურმა ელემენტებმა იარაღი აისხა ჩვენი ჯარის და სოჭის დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ ჯართან ერთად იცავდა ამ ოლქს დენიკინის შემოსევისაგან. ჩვენ არ დაგვიწყებია ისიც, რომ რამდენიმე ხნის წინათ დაშნაკელების აგიტატორები ამ ოლქში დატყვევებულ იქნენ, ჩვენი რესპუბლიკის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის.

ჩვენ გვგონია, რომ გაზეთი სდუმს სომხებზე და ჩვენს მთავრობას აწერს იმპერიალისტურ ზრახვებს, როგორც გამოქნილი ვექილი, რომელიც წინასწარ ამზადებს თავის მარადდებულთათვის გასამართლებელ საბუთებს.

ალბათ ამ საბუთით იქნება გამართლებული სომხის ელემენტების აშკარა კონტრ-რევოლიუციური გამოსვლა სოჭის დემოკრატიის წინააღმდეგ და არა მარტო ჩვენი ჯარის. ამით უნდათ ალბათ პასუხისმგებლობა აშორონ იმ მოღალატურ მოქმედებისათვის, რომელშიაც არც თვითონ არიან სრულიად უნაწილონი.

სხვა მხრივ განა შეიძლება სადმე, რომელიმე კუთხეში დენიკინის რაზმის შესვლა იქნეს გამართლებული? განა რეაქციის შესვლას შეიძლება ვინმემ საფუძველი მოუძებნოს, გარდა ერთისა, ესაა თვით რეაქციონერთა ბნელი განზრახვანი.

მაგრამ შინ დაშნაკელები დაბრმავებული არიან თავის შოვინიზმით და დემოკრატიისაგან გათიშვის და ბრძოლაში გამოსხლტომას, თუ ოდესმეც ნაკვალოზ მეორის დროს არ თაკილობდენ, განა ეხლა ითაკილებენ?

ამიტომ ჩვენ უნდა გულახდილად ვთქვათ, მათი განცხადება, რომ, თუ საქართველოს ხიფათი მოელის, ჩვენ მას დავიცავთო, არ მიგვაჩნია გულწრფელ სიტყვებათ.

ერთი იმიტომ, რომ მთელი წერილი ამის წინააღმდეგ ლაპარაკობს. მეორე იმიტომ, რომ არ ვიცით, საიდან იწყება ამ პარტიისთვის საქართველო. მესამე იმიტომ, რომ არ ვიცით, თუ ამით ლაპარაკი როდის დათავდება.

ჩვენთვის ალტერნატივა აშკარაა—ორი ძალა შეეჯახა ერთმანეთს: საქართველოს დემოკრატიის და შავრაზმელ დენიკინის, დავა არა საზღვრის ხაზებზე, არამედ არსებობაზე ან დემოკრატიის, ან შავი რეაქციის. ვინც ამათ შორის არჩევანში ჰყოყმანობს, ის ნებსით თუ უნებლიეთ რეაქციას ემსახურება, შუათანა გზა არ არსებობს. იგი მხოლოდ დემოკრატიის გულჩათხრობილ მოძულეთა და მტერთა საფარია, მაგრამ ამ საფარში ყოველივე ნათლად სჩანს.

## უკანასკნელი ცნობები

ფ ო თ ი.

9 თებერვალს მოხდა ქალაქის არჩევნები. სოციალდემოკრატებმა მიიღეს 2864 ხმა და გაიყვანეს 22 ხმოსანი (წარშინდელზე ორით მეტი). ნაციონალდემოკრატებმა მიიღეს 721 ხმა და გაიყვანეს 6 ხმოსანი, სოციალ რევ. 88 ხმა, გაიყვანეს 1 ხმოსანი, სოციალ ფედ. 281 ხმა, გაიყვანეს 2 ხმოსანი. უპარტიოებმა მიიღეს 4 ხმა და ვერც ერთი ხმოსანი ვერ გაიყვანეს.

ფოთის სახალხო გვარდიამ მოახდინა მთელი თავისი ძალების მობილიზაცია და მისი დიდი ნაწილი გაიგზავნა ფრონტზე. გუშინ ჩამოვიდა ვალიკო ჯუღელი და იმავ საღამოს გაემგზავრა ფრონტზე.

**სამუსლიმანო საქართველოს გარშემო.**

სტამბოლიდან შემდეგი ცნობა მივიღეთ: აქ შესდგა კომიტეტი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ან შეინარჩუნოს ოსმალეთისათვის ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები და ახალციხის მაზრა ან და, თუ ეს არ მოხერხდა, შეაკავშიროს ეს ოლქები და მაზრა ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. კომიტეტის სათავეში სდგას რიზა ფაშა. კომიტეტს აქვს დიდი თანხები და ჰყავს თავისი ემისარები ყველა აღნიშნულ რაიონებში.

**მოქალაქენო!**

სოციალდემოკრატიამ იხსნა საქართველოს რესპუბლიკა ანარქიისაგან.

ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

12 თებერვალი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

მოსკოვი. ბერლინი. 4 თ. საფრ. პრესა მწუხარებით აღნიშნავს, რომ პარიზის კონფერენციის ხელმძღვანელობის ინიციატივას თანდათან ჰკარგავენ ფრანგები. მოსკოვი. 10 თებ. გუშინ მოხდა პირველი ყრილობა ც. კ. რ. კ. პ. ესერების პარტიის დელეგაციასთან და დამფუძნებელ კრების წევრებთან ერთად. თავმჯდომარე კამენევმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებას საფუძვლათ უნდა დაედოს ესერების განცხადება შეწყვიტონ ბრძოლა საბჭოთა მთავრობასთან და მათთან ერთად შეთანხმებით იბრძოლონ ყოველ მოწინააღმდეგე გარეშე ძალასთან, რომელიც ეცდება რუსეთის საქმეებში ჩარევას. ც. კ. რ. კ. პ. წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ესერების ლეგალიზაციის საკითხი დაკავშირებულია იმ განცხადებასთან, რომელსაც გააკეთებენ ესინი და რამდენათ ჩამოშორდებიან იმ ესერებს, რომელნიც აგიტაციას ეწევიან საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

**ინგლისის მისიის ცნობა.**

პარიზიდან იუწყებიან, რომ უმაღლესმა სამხედრო საბჭომ დაადგინა დროებითი ზავის განახლების დროს უფრო სასტიკი პირობები წამოაყენონ: დააწესონ კონტროლი გერმანიის ჯარის დემობილიზაციაზე.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ გერმანიის ეროვნული ყრილობა 11 თებერვალს შეუდგება კონსტიტუციის პროექტის განხილვას. გერმანიის პრეზიდენტს კი თებერვლის 12 აირჩევენ, რის შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგებიან მთავრობის არჩევას ისე, რომ, როდესაც დროებითი ზავის განახლებაზე მოლაპარაკებას დაიწყებენ, უკვე იქნება კანონიერი მთავრობა.

**გერმანული პრესის ცნობები.**

„ფორვერტს" იუწყება, რომ დიუსელდორფში მთავრობის ჯარის მოსვლამდინ სპარტაკელები თავდაცვისათვის მოემზადნენ. მათ აუწყეს მცხოვრებთ, რომ მთავრობის ჯარის გამოგზავნა მოკავშირეთა მოთხოვნით მოხდა.

შეთანხმების სახელმწიფოთა მოთხოვნით პოზნანში ჩავიდენ პოლონეთის და გერმანიის წარმომადგენელნი ზავის პირობების საბოლოოთ შესამუშავებლათ.

ბერნის სოციალისტურ კონფერენციაზე სამხედრო ტყვეების შესახებ გადაწყვიტეს, რომ საჭიროა ყველა სამხედრო ტყვები სამშობლოში დააბრუნონ. ბრანტინგმა დემოკრატიის დიქტატურაზე ილაპარაკა და კომიტეტის სახელით შემოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „კონფერენცია მიესალმება რუსეთის, ავსტრიის და გერმანიის რევოლიუციას და მოითხოვს მთელი ქვეყნის მუშებისაგან, რომ ეცადონ დაამყარონ დემოკრატიულ რევოლიუციონური წესიერება, რომლის ფარგლებშიაც უნდა ხდებოდეს პოლიტიკური გადატრიალებანი. კონფერენცია, როგორც წინათ, ისე ახლა, სდგას დემოკრატიულ პლატფორმაზე, რომელიც დამყარებულია სიტყვის და პრესის თავისუფლებაზე, საყოველთაო თანასწორ საარჩევნო უფლებაზე და კავშირების თავისუფლებაზე. საწარმოების სოციალიზაცია წესიერად უნდა ხდებოდეს. ცალკე ჯგუფების ამა თუ იმ საწარმოოს ხელში ჩაგდება სოციალიზაციად არ ჩაითვლება. სოციალისტური წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს დაუჭერს ხალხის უმრავლესობა. ყოველი ცდა პროლეტარიატის უმნიშვნელო ჯგუფის დიქტატურის დასამყარებლად, სახიფათოა სოციალისტურ წარმატებისათვის.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

უმაღლესი საბჭო ოთხშაბათს განიხილავს ახალ პუნქტებს, რომელიც დროებითი ზავის ხელშეკრულებაში უნდა იქნეს შეტანილი. საბჭო ერთ ერთ კომისიას დაავალებს ხელშეკრულების ტექსტის შემუშავებას. ამ კომისიაში, რომელიც ორშაბათს საღამოთი მარშალ ფოშის თავმჯდომარეობით უკვე შესდგა, წევრებათ ითვლებიან: გენ. დეგუტი და კლემენტელ საფრანგეთის მხრით; ინგლისის მხრით: ლორდ რობერტ სესილი და ტიეტი; შეერთებულ შტატების მხრით: ნორმან დევისი და გენ. ბლისი; იტალიის მხრით: კრესპი და გენ. კავალიერო; მთელი პრესა მოითხოვს, გააგებინონ გერმანიას, რომ გამარჯვებულნი ვერ მოითმენენ ეცადოს გერმანია მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას.

## დამფუძნებელი კრების გარშემო

თფილისის ებრაელთა სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის „პოალეი-ციონი" ორგანიზაციის საზოგადო კრებამ, გაარჩია რა კითხვა დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ ხმის უმეტესობით დაადგინა: ორგანიზაცია სთვლის თავის მოვალეობათ მიიღოს აქტიური მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში, რომელმაც უნდა განამტკიცოს საქართველოს ეროვნული თვითგამორკვევის ფორმა. არ გამოდის რა ორგანიზაცია თავისი საკუთარი სიით, სთვლის შესაძლებლად ხმა მისცეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას, თუმცა უკანასკნელის ტაქტიკას, როგორც მმართველი პარტიისას სავსებით არ იზიარებს.

საზოგადო კრება ავალებს კომიტეტს მიმართოს მოწოდებით ამხანაგებს და ყველა თანამგრძნობ მოქალაქე ებრაელებს, მიიღონ აქტიური მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში და ხმა მისცენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ სიას—პირველ ნომერს.

## ახალი ამბები

მთავრობის განკარგულებით ბორჩალოს მაზრის გენერალ გუბერნატორობა დაევალა თფილისის და მისი მიდამოების გენერალ გუბერნატორს მაღლაკელიძეს, რომელსაც დაექვემდებარება აღნიშნულ რაიონის ყველა სამხედრო ძალები და სამოქალაქო დაწესებულებანი.

◆ დამფუძნებელი კრების ქალაქის საარჩევნო კომისია ამით აცხადებს, რომ ის პირნი, რომლებიც ჩაწერილნი არიან თავმჯდომარეების, მდივნების და ასისტენტების კანდიდატებათ საუბნო საარჩევნო კომისიაში, უნდა გამოცხადდენ დღეს საღამოს 5 ნახ. საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში.

◆ ლებედევის დაპატიმრება. 11 თებერვალს თფილისში შეიპყრეს რუსთა ეროვნულ საბჭოს წევრი ლებედევი.

სომეხ აფიცერთა დაპატიმრება. სოჭის ოლქში მომხდარი ამბების გამო თფილისში შეიპყრეს გენ. არეშოვი და პოლ. მელიქ მურადოვი. ამის გამო სომხეთის საზავო დელეგაციამ, რომელიც ევროპაში მიემგზავრება და დროებით თფილისშია გაჩერებული საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართა და სთხოვა მათი განთავისუფლება.

◆ ბონები. სომხებსა და საქართველოს შორის მოხდა შეთანხმება ბონების მე 4 ს. გამოშვების შესახებ. გამოშვებული 320 მილიონ ბონებიდან 160 მილიონი სომხების იქნება, ამაში იქნება ის 80 მილიონი მანეთის ბონებიც, რომელიც წინათ გამოშვების დროს სომხებს არ მიუღიათ.

◆ ინგლისელების დახმარება დენიკინის ჯარისადმი. ინგლისელებმა სპარსეთში 2 მილიარდი და 2 მილიონ მანეთის ნიკოლოზის ფული შეაგროვეს მანეთი 7 კაპეიკათ და ამავე ფასში გადასცეს ის მოხალისეთა ჯარს.

◆ კრება. დღეს, 13 თებერვალს, საღამოს 4 საათზედ ორთაჭალის მუშათა კლუბში შესდგება მე-5 სამილიციო უბანში მცხოვრებ ს. ს. დ. მ. პ. წევრთა და თანამგრძნობთა—საზოგადო კრება. მოხსენებას გააკეთებენ საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ პარლ. წევრი ილ. სოლოღაშვილი და იოს. ირემაშვილი.

◆ პროფესიონალურ საბჭოების არაჩვეულებრივი კრება დანიშნულია 13 თებერვალს საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე (ყოფილი „ზოპონდის" ბინა). დღის წესრიგში არის დასმული: ფრონტის ზურგის გამაგრება ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებისაგან. პროფ. კავშირის და საბჭოს ყველა წევრი ვალდებულია დაესწროს კრებას.

◆ ახალციხის ფრონტზე დაჭრილნი აფიცრები და ჯარისკაცები მოთავსებულნი არიან თფილისში გერმანელების საავადმყოფოში 1) შტაბს კაპიტანი ეძგვერაძე ვარლამი მე 4 პოლკისა. 2) შტაბს კაპიტანი ფრუიძე შალვა და პორუჩიკი ინასარიძე კოსტა და ჯარისკაცი სულაძე სიმონ ქართული ლეგიონისა. 3) ჯარისკაცები პირველ ცხენოსან პოლკისა: ქოჩლაძე კოსტა, პავლიაშვილი ვასილი, პარასტარაშვილი გიორგი, ავთარაშვილი ნიკოლა, ხოსიაშვილი გაბრიელ.

## ამომრჩეველთა საყურადღებოთ

კონვერტები დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის ბინებზე დარიგებული არ იქნება. მათი მიღება შეიძლება მხოლოთ საარჩევნო ყუთებთან არჩევნების დღეს.

საარჩევნო ბიულეტენათ გამოდგება მხოლოდ ის დაბეჭდილი ფურცელი, რომელზედაც აღნიშნულია პირველი ნომერი და ჩვენი პარტიის კანდიდატთა სია ნ. ჟორდანიათი დაწყებული. ჩვენი ბიულეტენი თეთრ ქაღალდზე წითელი მელნით არის დაბეჭდილი.

წინანდელი ბიულეტენები, რომლებიც ქალაქის არჩევნების დროს იყო, დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის აღარ გამოდგებიან.

ვინც მველ ბიულეტენს ჩაუშვებს ყუთში ის ხმას დაჰკარგავს.

ბიულეტენებზე არაფერი წააწეროთ ხელით, არც დაუმატოთ, არც გამოაკლოთ ვინმე, თორემ ბიულეტენი ყალბათ იქნება ცნობილი და ხმა დაიკარგება.

კონვერტში უნდა ჩაიდოს მხოლოდ—პირველი ნომერი და არა სურათებიანი ან უსურათო მოწოდებები და პლაკატები.

◆ ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებაში. ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების საერთო და სამუნიციპალო სექციის კრება შესდგება დღეს, 13 თებერვალს, საღამოს 6 საათზე საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში, დიდი მთავრის ქ. № 70.

◆ საჭიროა არიან სათნოების დები შემხვევ რაზმისათვის. ჩაწერა შეიძლება 2-რე ქვეითა დივიზიის შტაბში. პირობები: 400 მ. თვეში, ხარჯი უფასოთ.

◆ ვენე ნიკურაძის ხსოვნის აღსანიშნავათ ხუთშაბათს, 13 თებერვალს ქ. სამტრედიაში სამტრედიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის კომიტეტი მართავს საღამოს.

◆ ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის კომიტეტი მოუწოდებს თავის ორგანიზაციის წევრებს დღეს, საღ. 5 საათზე, გამოცხადდნენ თავიანთ რაიონული კოლექტივის ბინაზე.

◆ საარჩევნო კრება. დღეს, საღამოს 5 საათზე, პირველი უბნის საარჩევნო კომისია მეოთხე რაიონის ბინაზე (ოლღას ქ. 29) იწვევს 1 კომისარიატში მცხოვრებ პარტიის წევრთა საზოგადო კრებაზე.

◆ ნაძალადევის თეატრი. დღეს 13 თებერვალს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია ნაძალადევის თეატრში დიდუბის და ნაძალადევის მოქალაქეთა მიტინგი. საგანია დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური მომენტი. მომხსენებელია ალექსანდრე ლომთათიძე.

◆ თელავის მაზრის ივალთოს რაიონში მოხდა მრავალ რიცხოვანი მიტინგები. თანამედროვე მომენტზე მოხსენება გააკეთეს პარლამენტის წევრმა იობაშვილმა და თალაკვაძემ. დამფუძნებელი კრების არჩევნებს ხალხი აღფრთოვანებით ხვდება და ყველგან ერთხმად მხარს უჭერენ მშრომელთა ინტერესების ერთგულ დამცველ საქართველოს სოციალდემოკრატიას. ხალხი დიდ ნდობას უცხადებს საქ. დემოკრატიულ მთავრობას და მზათაა დაიცვას სამშობლო და თავისუფლება ყოველივე მტრებისაგან. თელავის სოც.-დემ. კომიტეტი.

◆ ერობათა ყრილობა. 21 თებერვალს, დილის 10 საათზე თბილისის მაზრის ერობის გამგეობის სადგომში, გოლოვინის პროსპ. № 6 შესდგება საქართველოს რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების ყრილობა.

◆ ომის საჭიროებისათვის ფულის შემგროვების მთავარმა კომიტეტმა შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა პროვინციის კომიტეტებს: „სომხეთთან ომის შეწყვეტის გამო შესაჩნევად შეფერხდა ომის საჭიროებისათვის დაწყებული ფულის მოგროვება. მოგეხსენებათ, რომ ამ ჟამად საქართველო ორ ფრონტზე აწარმოებს ომს. სამშობლოსა და მის მთავრობას არასოდეს არ დასჭირვებია იმდენი შველა და დახმარება, რამდენიც დღეს სჭირია. ომის საჭიროებისათვის ფულის შემგროვებელი კომიტეტი დაბეჯითებით და უმორჩილესად გთხოვთ ერთი ათად გააღვიოთ თქვენი მოქმედება და ენერგიულად განაახლოთ ფულის შეგროვება თანახმად იმ წესებისა და დირექტივებისა, რომელნიც შემუშავებულ იქნენ სომხეთთან ომის დასაწყისში. შეგროვილი ფული, თანახმად ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ბრძანებისა და მთავრობის დადგენილებისა დაუყოვნებლივ შეიტანეთ კომიტეტის სახელზე ამიერ-კავკასიის ბანკში, საიდანაც გადაცემულ იქნება მთავრობის განკარგულებაში.

◆ მე-4 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივი ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ მე 4 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივის დროებითი ბიურო არის მოთავსებული მე-6 რაიონულ კოლექტივის ბიუროს ბინაზე, თათრების მოედანი, სახლი არუთინოვისა. ბიურო ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.

◆ საქ. სოც.-დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა მიიღო საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ დ. ქებაძისაგან—500 მან.

◆ ბორჯომის წყლის მოიჯარადრემ დ. ქებაძემ გაზეთ „განახლებულ მესხეთს" შესწირა ხუთი ათასი მანეთი.

◆ ომის საჭიროებისათვის პატარძეულის საზოგადოებამ გამოგზავნა თავის კამისრის მ. ჯღაუვრის ხელით 2696 მან. და 12 ტომარა ფქვილი. და ამის გარდა დაპირდა კიდევ 3000 მან. თოფის წამლის და პაპიროზის ქაღალდის გამოგზავნას ახლო დღეებში.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

— დღეს საღ. 6 საათზე, მეოთხე რაიონული კოლექტივის ბინაზე დანიშნულია ამავე კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა, ამ სხდომაზე მოვალენი არიან დაესწრონ ყველა საარჩევნო კომისიების წარმომადგენელნი.

— დღეს, საღამოს 5 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება მე 8, მე 9, მე 10 უბნების საარჩევნო კომისიებისა და მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა შეერთებული კრება.

— მეოთხე რაიონული კოლექტივი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა დღეს, დღის 3 საათზე მეოთხე რაიონის ბიუროს ბინაზე (ოლღას ქ. № 29) იწვევს 1, 2, 3 და 13 უბნების ორგანიზაციის წევრთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრებას. ამ კრებაზე მოვალენი არიან გამოცხადდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაწერილი სტუდენტებიც.

## მუშათა დეპუტატ. საბჭოში

შეერთებული სხდომა თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოსი, პროფესიონალური საბჭოების გამგეობებისა, რკინის გზის ცენტრალური კომიტეტისა, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ცენტრალური კომიტეტისა და თფილისის თვითმართველობის ხმოსანთა სოც.-დემ. ფრაქციისა.

8 თებერვალს სახალხო სახლში შესდგა, როგორც გუშინ გვქონდა მოხსენებული აღნიშნულ დემოკრატიულ ორგანიზაციების შეერთებული სხდომა უკანასკნელი ამბების გამო. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ალ. ლომთათიძე.

მის გამოსვლას დარბაზი მხურვალე ტაშით ხვდება.

ამხანაგებო!—დაიწყო მან—დღევანდელი გაერთიანებული კრების სხდომის დღის წესრიგში სდგას მხოლოდ ერთი კითხვა—დენიკინის ჯარის მიერ ჩვენი საზღვრების გადმოლახვა, მაგრამ ეს კითხვა იმდენათ რთულია და ფართეა, რომ ჰფარგლავს თავისთავად ყველა კითხვებს, რომლებიც ჩვენ ამ უკანასკნელ თვეებში გვაღელვებდნენ. ფაქტიური მდგომარეობა ამნაირია: მოხალისეთა ჯარს, რომლის სათავეში სდგას გენ. დენიკინი, უკვე რამოდენიმე ხანია დაეტყო, რომ ის აპირებს და რესპუბლიკის წინააღმდეგ აქტიურად გამოლაშქრებას. აჯგუფებდნენ სამხედრო ძალებს და სდგამდნენ ისეთ ნაწილებს, რომლებიც აშკარად მოწმობდნენ, რომ ჯარი პირებდა შემოტევას. საქართველოს მთავრობამ მაშინვე მიჰმართა სათანადო ზომებს, რომ გამოერკვია მიზნები და სურვილები მოხალისეთა ჯარისა და ინგლისის მისიის საშუალებით მიიღო რწმუნება, რომ არავითარი მტრული მისწრაფებანი დენიკინის ჯარს ჩვენს წინააღმდეგ არა აქვს. ამ რწმუნებამ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებისამ დაამშვიდა ჩვენი მთავრობა და მთავრობის შეკითხვას საპასუხოდ სოჭიდან მიღებული იქნა პასუხი, რომ დენიკინის ჯარი შემოტევას არ აპირებს.

ასეთი მდგომარეობა სუფევდა უკანასკნელ დღემდე, როდესაც სრულიად მოულოდნელად და გაუფრთხილებლივ მოხალისეთა ჯარის ნაწილები შეიჭრნენ სოჭის ოლქის საზღვრებში, წარუდგინეს გენ. კონიაშვილს ულტიმატუმი, რომ ქართულ ნაწილებს იარაღი აეყარა და სამხედრო მასალასთან ერთად ჩაებარებინა გენ. ბურნევიჩისთვის და გასულიყვნენ სოჭის ოლქიდან. ამგვარი შემოტევა ჩვენთვის იყო სრულიად მოულოდნელი და მიდიოდა წინააღმდეგ ინგლისის მისიის ყველა რწმუნებებისა.

ამხანაგებო, მე მგონია, რომ აქ მაინც და მაინც საჭირო არაა ბევრი ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რით ხელმძღვანელობს დენიკინი,

როცა ვერაგულად თავს გვესხმის სოჭის ოლქიდან.

ჩვენ ხელშია ბევრი დოკუმენტი, რომლებიც აშკარად მოწმობენ სოჭის ოლქის მრავალერიან მოსახლეობის დამოკიდებულებას მოხალისეთა ჯარის მიმართ. ეს მცხოვრებლები კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ ის იბრძოლებს მთელი თავისი ძალღონით დენიკინის წინააღმდეგ. ამას წინად სოჭაში შესდგა დიდი მიტინგი, სადაც ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია მოხალისეთა ჯარის წინააღმდეგ ბრძოლისა, რომლის ჯარის შემოსვლა ოლქში ნიშნავდა ყველა თავისუფლებების და რევოლიუციის მონაპოვართა დაკარგვას, რომლებიც იქ არსებობდნენ იმის გამო, რომ ეს ოლქი შედიოდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, რომელი რესპუბლიკაც მთელი თავის ძალღონით სცდილობს ამ თავისუფლებათა შენარჩუნებას და საბოლოოდ განმტკიცებას. ასეთი ერთსულოვანი აზრი სოჭის ოლქის მცხოვრებლებისა, რომელიც დარწმუნებულია, რომ დენიკინის ჯარის შემოსვლით თავისუფლებებსა და რევოლიუციის მონაპოვრებზე ლაპარაკიც ზედმეტია, საჭირო არაა ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ უცქერის საქართველოს სხვა ნაწილები დენიკინის შემოსვლას, რომელსაც მოაქვს ყველაზე საშინელი რეაქცია. თუ ის მოახერხებს სოჭის ოლქის აღებას და შემდეგ გამოლაშქრებას—პირველი საქმე, რომელსაც იგი შეასრულებს იქნება ყველა თავისუფლებების მოსპობა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ საქართველოში. დენიკინის არმიის დროშას მოაქვს ჩვენი დემოკრატიული წყობილებისთვის დაღუპვა და განადგურება, ის არის აგრეთვე საშინელი საფრთხე ჩვენი ფიზიკური არსებობისთვის. მაგრამ ჩვენი მდგომარეობა არ იქნებოდა ისე მძიმე, თუ გართულებული ყოფილიყო საქმე მარტო სოჭის ოლქში. თქვენ კარგად იცით, თუ რა ხდება ახალციხის მაზრასა და ბათუმის ოლქში. იქ აჯანყება მოახდინეს ბეგებისა და მემამულეების ჯგუფმა, რომლებიც ვერ ურიგდებიან ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ფაქტს და უმთავრესად კი აგრარული რეფორმის გატარებას. ბათუმისა და სოჭის ოლქებში ვიღაცის ხელებით ტარდება აგრესიული პოლიტიკა საქართველოს რესპუბლიკის და ყველა მისი დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ მცხოვრებთა ნების წინააღმდეგ, რომლებმაც კატეგორიული პროტესტი განაცხადეს იმ მმართველობის წინააღმდეგ, რომელიც დაყენებულია ბათუმის ოლქში და რომელსაც სათავეში უდგას მასლოვი, რომლის ფიზიონომიას უკვე საკმაოდაა გამორკვეული. და ამ მთავრობას გაჰყავს იქ თავისი პოლიტიკა, ძალად ახვევს მცხოვრებთ თავზე თავის ნებას, მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებნი პროტესტს აცხადებენ ამგვარი მოქმედებების წინააღმდეგ.

რაღას აკეთებს ის ევროპის დიდი სახელმწიფო, რომელიც უკვე ორი თვეა რაც დაემკვიდრა ამიერ-კავკასიაში, კერძოდ თფილისში? როგორ უცქერის ის ამ ამბებს? მე ვეცდები დაგისურათოთ ის ხაზი, რომელსაც მხარს უჭერს ინგლისის მისია სიტყვით, და დავსვამ თქვენ წინაშე კითხვას, ეთანხმება თუ არა მისი ფაქტიური მოღვაწეობა იმ სიტყვებს და დაპირებებს, რომელსაც ის აძლევდა ჩვენი მთავრობის წარმომადგენელს.

ინგლისელთა მისიის შემოსვლისთანავე ჩვენში შედარებით სიწყნარე ჩვენ საზღვრებზე შეიცვალა მუდმივ ღელვად და უწესოებად. მის მოსვლის დღეს ჩვენში დაიწყო ომი ორ მოძმე ერს შორის. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები მაშინ გვეუბნებოდენ ჩვენ, რომ არ უნდა სწარმოებდეს ომი პატარა ერებს შორის, როდესაც მსოფლიო ომი გათავებულია, რომ ეს ომი რათაც არ უნდა იყვეს უნდა გათავდეს, რომ ინგლისი მოვიდა ამიერ-კავკასიაში მშვიდობიანი მიზნებით და ჰსურს, რომ ამიერ-კავკასიის ხალხები მშვიდობიანად და ძმურად ცხოვრობდენ. ასეთი იყო ინგლისის მისიის განცხადება, რომელიც დაჰპირდა ჩვენ მთავრობას დახმარებას სომხეთ საქართველოს ომის ლიკვიდაციაში.

შემდეგ ჩვენ მიმართვას დენიკინის ჯარის შეჯგუფების გამო სოჭის ოლქში, მივიღეთ რწმუნება, რომ დენიკინი საქართველოს წინააღმდეგ არაფერს არ აპირებს. ჩვენ მთავრობას არ შეეძლო ნდობით არ შეხედა დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა სიტყვებისთვის. ინგლისის მისიამ განაცხადა აგრეთვე, რომ ის არ დაუშვებს ვინმეს ჩარევას საქართველოს შინაურ საქმეებში. თითქოს ფაქტები უნდა ამტკიცებდენ ამ ავტორიტეტულ განცხადებებს, მაგრამ სინამდვილე სულ სხვას გვიჩვენებს.

ერთი თვის წინად დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა გადასცა ჩვენს მთავრობას დეპეშა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრისა იმის შესახებ, რომ ინგლისი სიმპატიით უყურებს საქართველოს დამოუკიდებლობას და მხარს დაუჭერს ამ დამოუკიდებლობას მომავალ საზავო კონფერენციაზე და აქაც, ამიერ-კავკასიაში. თითქოს ეს სიმპატიები საქმედ უნდა ქცეულიყვნენ, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. როცა ახალციხეში აჯანყება დაიწყო, როცა ყველასთვის აშკარაა, თუ ვის ხელების

## დამფუძნებელი კრების არჩევნებში ჩვენი პარტიის ბიულეტენი.

**ზმას მიეცით** საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას

**ნომერ პირველს**

**№ 1**

1. ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე.
2. ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე.
3. ჩხეიძე ნიკოლოზ სიმონის ძე.
4. წერეთელი ირაკლი გიორგის ძე.
5. რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე.
6. გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე.
7. ხომერიკი ნოე გიორგის ძე.
8. რამიშვილი ისიდორე ივანეს ძე.
9. ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე.
10. არსენიძე რაჟდენ მათეს ძე.
11. ლომთათიძე ალექსანდრე სპირიდონის ძე.
12. გიორგაძე გრიგოლ ტიმოთეს ძე.
13. მახარაძე გერასიმე თომას ძე.
14. ელიავა ნიკოლოზ ზურაბის ძე.
15. ჩხიკვიშვილი ბენიამინ გიგოს ძე.
16. შერვაშიძე ვარლამ ალექსანდრეს ძე.
17. ჯუღელი ვალერიან ანთიმოზის ძე.
18. ნიხიძე კირილე იესეს ძე.
19. ვარდოიანცი მიკიჩ კარაპეტის ძე.
20. ახმეტელაშვილი ვლადიმერ გიორგის ძე.
21. ანდრონიკაშვილი კონსტანტ. მანუჩარის ძე.
22. კოვალიოვი მიხეილ ანდრიას ძე.
23. ონიაშვილი დავით ეფრემის ძე.
24. ხოჭოლავა მუხრან-იონა მაქსიმეს ძე.
25. დგებუაძე ალექსანდრე ივანეს ძე.
26. ფარნიევი ალექსანდრე ივანეს ძე.
27. თევზაია ვიქტორ ვასილის ძე.
28. გვარჯალაძე კონსტანტინე იაგორის ძე.
29. აბაშიძე ჰაიდარ ალიბეგის ძე.
30. ბერნშტეინი ერიკი ადოლფის ძე.
31. ერაძე გიორგი პავლეს ძე.
32. ლოსკუტოვი ანდრია ვასილის ძე.
33. სალუქვაძე იოსებ ბეჟანის ძე.
34. გელეიშვილი პეტრე პავლეს ძე.
35. ჯაფარიძე სერგო დავითის ძე.
36. ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე ელეონორა მიხეილის ასული.
37. სალუქვაძე ანანია მაქსიმეს ძე.
38. თოფურიძე დიომიდე ალექსანდრეს ძე.
39. ჯიბლაძე ვლადიმერ გიორგის ძე.
40. მამედოვი ჰუსეინ გული-მამედ-ოღლი.
41. რუსია მელიტონ ივანეს ძე.
42. ანჯაფარიძე გიორგი ნესტორის ძე.
43. შერვაშიძე ყადირ თანბეგის ძე.
44. პაშალიძე ივანე გიორგის ძე.
45. ჩიხლაძე რაფიელ ალექსის ძე.
46. საყვარელიძე პავლე დავითის ძე.
47. ცაბაძე ვასილ ზაქარიას ძე.
48. ნათაძე ლევან იასონის ძე.
49. გაგლოევი გიორგი ალექსის ძე.
50. ურატაძე გრიგოლ ილარიონის ძე.
51. დავარაშვილი მოსე რახამის ძე.
52. ჯაფარიძე კონსტანტინე იასონის ძე.
53. ცინცაძე ნოე კონსტანტინეს ძე.
54. ძველაია ბარნაბ პავლეს ძე.
55. გურული ზაქარია დავითის ძე.
56. ჩიქავა ალექსანდრე ხიტუს ძე.
57. ყუფუანი რუბენ ლუარსაბის ძე.
58. შარაშიძე დავით გიგოს ძე.
59. მგელაძე ვლასა დარისპანის ძე.
60. გონაშვილი დიმიტრი მიხეილის ძე.
61. ტოროშელიძე მინადორა ეფრემის ასული.
62. სურგულაძე სიმონ ელიზბარის ძე.
63. გურჯუა ვასილი გიორგის ძე.
64. ნოდია ვასილი მარკოზის ძე.
65. აუშტროვი რუბენ გიორგის ძე.
66. მიქელაძე ოსმან შაფყი ეფენდი.
67. ქუმსიაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე.
68. საბახტარიშვილი კონსტანტ. ბეჟანის ძე.
69. პანიევი კონსტანტინე აბგარის ძე.
70. კანდელაკი კონსტანტინე პლატონის ძე.
71. ბადრიძე ილია გიორგის ძე.
72. შარაშიძე ქრისტინე გიგოს ასული.
73. სულაქველიძე აპოლონ ალმასხანის ძე.
74. კოპალეიშვილი ილია ივანეს ძე.
75. ჭავჭანიძე ივანე თედორეს ძე.
76. ჭაბრიშვილი ანდრია იაკობის ძე.
77. ცინცაძე გიორგი იესეს ძე.
78. ჩხეიძე დავით ანდუყაფარის ძე.
79. ბოლქვაძე ელისაბედ იოსების ასული.
80. ცისკარიშვილი გაბრიელ დიმიტრის ძე.
81. თევზაძე სარდიონ ონისიმეს ძე.
82. ცინცაბაძე გრიგოლ დიმიტრის ძე.
83. ფირცხალაიშვილი ილია გიორგის ძე.
84. კიკვაძე თედორე გაბრიელის ძე.
85. კაციაშვილი ნიკოლოზ. აღდგომელის ძე.
86. ტატიშვილი ივანე ალექსის ძე.
87. კვარაცხელია იოსებ ანტონის ძე.
88. წულაძე ვასილ ქაიხოსროს ძე.
89. იმნაიშვილი ნიკიფორე ბესარიონის ძე.
90. ემუხვარი არზაყან კონსტანტინეს ძე.
91. გომართელი ივანე გედეონის ძე.
92. ბიჟელი პავლე იაკობის ძე.
93. ელიგულაშვილი იოსებ აარონის ძე.
94. კილურაძე ლავრენტი პავლეს ძე.
95. გვარამაძე რაჟდენ ყადირ მამაც გული ოღლი.
96. რუხაძე ლევან პორფირეს ძე.
97. ახმეტელაშვილი სიკო გიორგის ძე.
98. შევჩუკი გერასიმე დიმიტრის ძე.
99. ზახაროვი დიმიტრი ვასილის ძე.
100. წულაია პავლე ლუკას ძე.
101. ბერიშვილი პავლე აბრამის ძე.
102. ბაკურაძე ვასილი ზურაბის ძე.
103. კალაძე ერმალოზ თედორეს ძე.
104. ჭელიძე თეიმურაზ სტეფანეს ძე.
105. მურვანიძე გიორგი ექვთიმეს ძე.
106. ფალავა გიორგი აქვსენტის ძე.
107. მაჭავარიანი იოსებ ივანეს ძე.
108. ჟღენტი ლეონტი ალმასხანის ძე.
109. ლორია ფილიპე გლახუნის ძე.
110. სოლოღაშვილი ანნა ილიას ასული.
111. ვადაჭკორია სოლომონ ივანეს ძე.
112. სირბილაძე ერმილე ივანეს ძე.
113. ირემაშვილი იოსებ გიორგის ძე.
114. ხილაძე ალფეზი ხირმას ძე.
115. სადალაშვილი გიორგი დავითის ძე.
116. საგირაშვილი კონსტანტინე ალექსის ძე.
117. ავაქოვი ივანე ზაქარიას ძე.
118. იოაბაშვილი ნიკოლოზ ხარების ძე.
119. დვალი დავით სტეფანეს ძე.
120. კავკასიძე პეტრე მოსეს ძე.
121. მამედოვი ახმედ ალი ოღლი.
122. ფარქოსაძე სტეფანე ოტიას ძე.
123. ელიაძე სტეფანე თედორეს ძე.
124. ნადიბაიძე ნიკოლოზ ზაალის ძე.
125. დომბრუჯინიძე სამსონ მიხეილის ძე.
126. ურუშაძე ირაკლი არჯევანის ძე.
127. დოლიძე სოლომონ იესეს ძე.
128. ცენტერაძე ვიქტორ ლუკას ძე.
129. მაჭარაძე პოლიკარპე ნიკოლოზის ძე.
130. კაკაბაძე ვლადიმერ გრიგოლის ძე.

საქმეა ეს აჯანყება, თუ ვინ ეცემა განაწვალებ გლეხობას, თითქოს ინგლისის მისიას უნდა ჰქონოდა მოქმედების გარკვეული ხაზი მომხდარ ამბების გამო, მაგრამ მან ეს არ ჩაიდინა,

როდესაც მის თვალწინ ეწყობა რეაქციონური მთავრობა ბათუმის ოლქში და იგი აყენებს ამ მთავრობის სათავეში ბ. მასლოვს, იბადება კითხვა, ნუ თუ ინგლისის წარმომადგენელნი, იმ ინგლისისა, რომლის კონსტიტუციაზე აღიზარდა საუკეთესო ნაწილი ევროპისა და აზიის ის ნაწილებიც, სადაც შეიჭრა ევროპის კულტურა, ნუ თუ ეს წარმომადგენლები ნებას დართავენ, რომ მთავრობის სათავეში, მცხოვრებთა სურვილების წინააღმდეგ, რომელთაც სურთ იცხოვრონ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში, რომ ისარგებლონ ჩვენი დემოკრატიული წყობილების ყველა სიკეთით, უნდა დაყენებულ იქნეს ბ. მასლოვი? და ბოლოს, როცა დენიკინის ჯარის შემოტევა ფაქტი გახდა, როცა ჩვენ დამშვიდებულნი მისიის ავტორიტეტული განცხადებებით, მოღალატურად, ქურდულად თავს გვესხმიან, რა გააკეთეს მათ, რომლებიც გვარწმუნებდენ, რომ დენიკინი ჩვენ წინააღმდეგ არ წამოვიდოდა? მე აღვნიშნე დამახასიათებელი მომენტები ინგლისის წარმომადგენელთა აქ ყოფნისა. ინგლისს არა ერთხელ განუცხადებია, რომ ის მხარს უჭერს და დაიცავს ვილსონის პროგრამის 14 პუნქტს, მან გამოუტანა სასტიკი განკიცხვა ყოფილ გამარჯვებულებს ბელგიის დანგრევისათვის, ასი ათას სიცოცხლეთა დაღუპვისათვის. მაშ სადღაა შეთანხმება მის სიტყვასა და საქმეს შორის?

ჩვენ წინ სდგება კითხვა, რად მოხდა ყველაფერი ეს, ვინ მოგვცემს ჩვენ ყველა კითხვებზე გადაჭრილ პასუხს? ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორია საქმის ნამდვილი მდგომარეობა, ჩვენ ველარ დავეყრდნობით მარტო დაიმედებას. ჩვენ ვერ დავმშვიდდებით, როცა ჩვენ დამოუკიდებლობას და რევოლიუციის ყველა მონაპოვრებს საფრთხე მოელის.

საქართველოს დემოკრატიას შეუძლიან თავის-თავის და თავის თავისუფლების დაცვა და სცდებიან ისინი, რომლებიც ჰფიქრობენ, რომ მას რითიმე შეაშინებენ. შეიძლება ჩვენ დავიღუპოთ უსწორო ბრძოლაში, მაგრამ უბრძოლოთ ჩვენ არ დავნებდებით (ძლიერი და ხანგრძლივი ტაში). ჩვენ ტერიტორიაზე შემოსვლისას, ინგლისის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ მათ აქვთ თავისი მიზნები, რომ ისინი არ ჩაერევიან ჩვენ შინაურ საქმეებში და არ შეეხებიან ჩვენ დამოუკიდებლობას, მაგრამ სადაა დამტკიცება ამ სიტყვების გულწრფელობისა?

ამხანაგებო! თქვენ წარმოადგენთ ჩვენი დემოკრატიის მშვენიერებას. ოცი წლის ბრძოლამ ორთავიანი არწივის წინააღმდეგ გვასწავლა ჩვენ ბრძოლა და ჩვენ პასუხს გავცემთ ყველას, ვინც ჩვენ თავისუფლებას შეეხება. ჩვენ ხელშია მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი და ჩვენ შეგვიძლია შევაჩეროთ იგი, თუ ამას მოითხოვს დემოკრატიის ინტერესთა დაცვა. არა თუ მარტო ჩვენი გვარდია, არამედ—ყველა ჩვენ, როგორც ერთი კაცი, ავლსდგებით თავისუფლების დასაცავად. და ჩვენ უნდა მოვთხოვოთ ჩვენ მთავრობას, რომ მან სთქვას, რას ჰფიქრობს იგი და რას აპირებს მომავალში. ჩვენ შევისწავლეთ გავარჩიოთ სიყალბე გულწრფელობისაგან, სიმართლე-ტყუილისაგან და ჩვენთვის ეხლა აშკარაა, თუ ვისთან ერთად მოქმედობენ ჩვენი მტრები. გვიახლოვდება რკინის რგოლი იმ კონტრ-რევოლიუციონურ ძალებისა, რომლებთაც სძულთ საქართველო, სადაც მაღალი იდეები, რომლისთვისაც ამდენ ხანს იბრძოდა რუსეთის დემოკრატია, ხორციელდებიან. 14 თებერვალს დანიშნულია დამფუძნებელი კრების არჩევნები. ჩვენმა მტრებმა იციან, რომ მაშინ დემოკრატია საბოლოოდ განამტკიცებს რუსეთის დიდი რევოლიუციის მონაპოვრებს, ამიტომ შემოგვიტიეს ჩვენ ყოველი მხრიდან, რომ ხელი შეგვიშალონ საარჩევნო კამპანიაში და ჩაშალონ არჩევნები.

მაგრამ დემოკრატია არ შეჩერდება არავითარი მსხვერპლის წინაშე თავისი იდეალების დასაცავად, ის ამოსწურავს ბრძოლის ყველა საშუალებებს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ნამდვილი მიზნები ინგლისისა და ის ფაქტებით და არა სიტყვებით დაამტკიცებს ჩვენ, რომ ის მოსულა აქ კეთილ მიზნებისათვის. მოყვარისათვის ჩვენ მუდამ მოყვარეები ვართ, მტერს კი მტრულად დავუხვდებით (ხანგრძლივი ტაში).

ალ. ლომთათიძის მოხსენების შემდეგ ლაპარაკობენ დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

(დასასრული იქნება).

## ქალაქის საბჭო.

11 თებერვლის სხდომა.

(დასასრული)

მ. რუხაძე (ს. დ.) მოქალაქენო! სოც.-დემ. ფრაქციის სახელით მე მინდა იმ საკითხის შესახებ, რომელიც აქ დაისვა, რამდენიმე სიტყვა ვსთქვა. ამ ორი წლის დიდი რევოლიუციის ხანაში, ბევრჯერ ყოფილა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი დემოკრატია განსაცდელში, მაგრამ ის საშინელი განსაცდელი, რომელიც ჩვენ დღეს კარს მოგვდგომია, უსაშინელესია. შავი რეაქცია, რომელიც დენიკინის ჯარის სახით შემოიჭრა ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უქადის მთელ დემოკრატიას დამხობას, რევოლიუციის მონაპოვართა ხელიდან გამოგლეჯას, სისხლით და მრავალი წლობით ბრძოლაში მოპოვებული თავისუფლების ჩაზნთქას. მაგრამ ეს ცოტაა, დენიკინის ჯარი მარტო ამით არ დაკმაყოფილდება, იგი ფიზიკურ განადგურებას მოუტანს ჩვენს დემოკრატიას. დღეს წყდება ბედი დემოკრატიისა, მისი ყოფნა არ ყოფნის საკითხი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დიდი არის ძალა დემოკრატიისა, ის არა ერთხელ გამოსულა გამარჯვებული, დემოკრატია მოიკრებს მთელ თავის ძალ-ღონეს, გარ შემოიკრებს ფართო საზოგადოების ყოველივე ცოცხალ ძალებს, აღუდგება გვერდში ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და შეერთებულის ძალით შეებრძოლება მტერს, შავ რეაქციას. ან შავ რეაქციაზე, კონტრ-რევოლიუციაზე სრული გამარჯვება, ან ბრძოლაში სიკვდილი,—ასეთია დღეს დემოკრატიის ლოზუნგი. ამ საშინელი განსაცდელის დროს, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში, ჩვენ უნდა გამოვსთქვათ იმედი, რომ მოკავშირეთა წარმომადგენელი ინგლისი, რომლის სამხედრო ძალა დღეს ჩვენ ტერიტორიაზე იმყოფება და რომლის ობიექტიური და რეალური ინტერესები სრულიად არ მოითხოვენ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოსპობას, ხალხის გულგატეხას, მხარს დაუჭერს ჩვენ რესპუბლიკას თავდაცვაში, შემოსეულ მტრის მოგერიებაში. ჩვენ შეგსაც ვიტყვით, დადგა მომენტი, როცა დიდმა ბრიტანეთმა გადაჭრით უნდა სთქვას ვის მხარეზეა ის. შავი რეაქციის, რომელიც სპობს ყოველ კულტურას, ყოველ სიცოცხლეს, წინ მსვლელობას—თუ კულტურის, დემოკრატიის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ინგლისი აირჩევს ამ კულტურის გზას და წინ აღუდგება შავ რეაქციას (ტაში).

გრ. ვეშაპელი (ერ. პარ.) ჩვენ ჯარს არ შეეძლო თავდაცვა ეწარმოებინა, რადგანაც არა ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილები ეკავა. ორატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკა არის მხოლოდ ქართველებისთვის, რადგანაც მის დამოუკიდებლობას თავის სისხლით მხოლოდ ქართველები იცავენ. თუ ქართველ ხალხს ამ გზით წაიყვანენ იგი ისევე ადვილად მოიგერიებს დენიკინის ჯარებს, როგორც სომხის გენერლების ჯარები მოიგერია,

გ. გვაზავა (ნ. დ.) ორატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ბედი არ წყდება რომელიმე დენიკინის ჯარების სტაბიდით, არამედ—მისი ბედი ევროპაში წყდება. ყოვლად შეუძლებელია, რომ რუსეთის საზღვარი აქეთ გადმოვიდეს. ჩარიცხულ ბრძოლაში ჩვენ ყველანი ერთნი—ძმები ვართ და თუ ეს იდეა განმტკიცდა, ჩვენი ქვეყანა უძლეველი იქნება.

თ. ღლონტი (ს. ფ.) ამ საშინელ განცდის ჟამს, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, ერთი კარგი მხარე აქვს. ეს აჩვენებს ხალხს ერთიანდ ბრძოლის ხალისს და ეს უმთავრესი ფაქტორია იმის, რომ საქართველო შეინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას.

არ. ზურაბოვი. დენიკინის ჯარების წინსვლა ეს ერთი-ერთი ცდაა იმ საერთო ევროპიის იმპერიალისტური რეაქციის, რომელიც მშრომელთა წინ იწევს თავის ისტორიულ მიზნების განსახორციელებლად, დემოკრატია არ უნდა დაეყრდნოს ფეოდალურ ბურჟუაზიულ ელემენტებზე, მან მტკიცე კავშირი უნდა დაიჭიროს ამიერ-კავკასიის დემოკრატიასთან და შეერთებული ძალით იხსნის დემოკრატია თავს ამ საშინელ განცდილებისაგან.

კამათი შესწყდა. მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც გვშინდელ ნომერში გვქონდა მოთავსებული.

საბჭომ გადასწყვიტა ქალაქის თავის და გამგეობის წევრების არჩევნები გადაიდოს შემდეგ კრებისათვის. ამასთანავე გადაწყდა, რომ საბჭოს გულდება გამგეობის ხუთი წევრი. საბჭო აირჩევს საგანგებო კომისიას, რომელიც დაასაბუთებს სხვადასხვა კომისიების შემადგენლობას. საგანგებო კომისიაში აირჩიეს პარ. კახიანი, მახვილაძე, სგ. ხუნდაძე, გრ. გველესიანი, პარ. გოთუა.

თანახმად შ. მიქელაძის მოხსენებისა საბჭომ გადასწყვიტა ქალაქის პირველ და უმაღლეს დაწყებითი სკოლების მოწაფეებს დაეთხოვონ 3 კვირის ვადით, ვიდრე გადამდები სენი დაცხრებოდეს.

გამგეობის მოხსენებაზე გადამდებ სენიანთა საავადმყოფოს მოსამსახურეთა მოთხოვნილების შესახებ, საბჭო ირჩევს სპეციალურ კომისიას, რომელიც განიხილავს მოსამსახურეთა მოთხოვნილებებს და შემდეგ კრებისთვის წარმოუდგენს გამგეობას თავის დასკვნას.

### მოქალაქენო!

თითქმის მთელ რუსეთში მიწას ისევ ხნავენ მემამულენი დაეპატრონენ.

სოციალდემოკრატიამ ჩამოართვა საქართველოში მიწა მემამულეებს და ის მშრომელ გლეხკაცობას გადასცა,

ხმა მიეცით სიის № 1.

## ს.-დემ. პარტიაში

ხაშარაჯოი. 1 თებერვალს მოხდა ს. ს. დ. მ. პ. კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები. 1) მიმდინარე მომენტი; 2) ადგილობრივი სახ. გვარდიის შესახებ. მიმდინარე მო-

მენტზე ილაპარაკა ო. ლ—ძემ. აუხსნა კრებას ახალციხის და ახალქალაქის მეგვების ავანტიურისტული გამოსვლა, რომელიც მიმართული საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ! კრება ადგენს რომ საკუთარის მკერდით დაიცავს საქართველოს მთლიანობას. ო. ლ—ძემ მოუწოდა კრებას პარტიული მუშაობის გაძლიერებაზე და მჭიდრო შეკავშირებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სრულიათ პარტიის ინტერესებს და აღორძინებას. ვრცლად აუხსნა კრებას ის თავდადებული და დაუღალავი შრომა საქართველოს მთავრობისა, რომელნიც ჭეშმარიტად იცავს საქართველოს მთლიანობას. შემდეგ ო. ლიცაბაძემ აუწყა კრებას დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა და მოუწოდა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. კრება ერთსულოვნად ადგენს მთელი თავის ენერგიით მიიღონ მონაწილეობა არჩევნების ჩატარებაში და გამარჯვება მიანიჭოს № 1.

ვ. გარეჯელი.

ბორჯომი. 6 ამ თვეს მოხდა სოც.-დემ. კომიტეტის და თვითმართველობის ფრაქციის შეერთებული სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა თვითმართველობის გახსნის საკითხი. ხმის უმეტესობით კრებამ გახსნის დროთ 20 თებერვალი დანიშნა. ამის შემდეგ კრებამ მსჯელობა იქონია ქალაქის გამგეობის შემადგენლობაზე. სასურველად სცნო ბორჯომში შემოღებულ იქნას მარტივი თვითმართველობა, ვინაიდან ბორჯომის მამულს უკვე ყავს თავისი მართველობა. საკმარისად სცნობს ქალაქის თავის, საბჭოს თავმჯდომარის და პირველ გამგეობის წევრისაგან შემდგარი გამგეობა. ამ თანამდებობისათვის დასახელებულ იქნა რამოდენიმე კანდიდატი, რომელთაც თანხმობის საბუთი უნდა წარმოადგინონ იქნას 10 თებერვლამდე. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამისიის მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ბაკურიანის რაიონში, ოსებში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ორი პროპაგანდისტის გაგზავნა, რასაც ეცნობა გორის ცენტრს.

ნოდე.

## რკინის გზაზე

8 თებერვალს მოხდა რკინის გზით ხენაკიდან ფოთისკენ გამგზავრება. მატარებელი ჩვეულებრივ გადის ღამით ხუთის ნახევარზე. მატარებლის მოსვლამ სულ ხუთი წუთი აკლდა და გამოსვლის ზარი არავის დაურეკავს, ალბათ, უფროსებს ეძინა. მატარებელიც მოვიდა. მგზავრი ბევრი იყო, შეიქნა ყვირილი, ვინაიდან ხაზილეთო კასა არ აღმოჩნდა გაღებული. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მებილეთე სადგურის იქვე სამილეთო კასაში დაწოლილიყო და ძილს მისცემოდა. ზანტად გაღო კასა და ვითომ მისი საკუთარი წყალობა, ბილეთი მოგვაწოდა. ხურდა ფულები თუმცა ჰქონდა, მაგრამ არ შეიწუხა თავი. მიცემულ ფულს უკან უკუდებდა. რა გზა დაგვრჩენოდა, ან ფული უნდა ჩაგვეტოვებინა კასაში ზედმეტი, ან უბილეთოდ უნდა დავრჩენილიყავით. ცოტა მგზავრი არ დარჩენილა იმ ღამეს უბილეთობის გამო. ბი ასეთ მაგალითებს აქვს ადგილი ხენაკის სადგურზე და ასეთი მაგალითი პირველი შემთხვევაც არ არის.

მ—დი.

## მუშათა შორის

თბილისი. ოქმი საქართველოს არსენალის მუშა მოსამსახურეთა კრებისა, რომელიც მოხდა არსენალში 1 თებერვალს 1 ნახ. საათზე. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ანთიძე, მდივნათ ამხ. ნემსაძე. დღის წესრიგი: საქალაქო და დამფუძნებელი კრების არჩევნები. მოხსენებლათ გამოვიდა სამინისტროთ ამ კრებისთვის მოწვეული ამხ. რუსია.

მომხსენებელმა თავის სიტყვაში მკაფიოთ განმარტა ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელიც ხელთ ეკავა საზოგადოთ რუსეთის დემოკრატიას და კერძოთ საქართველოსას და თანდათანობით ჩამოხსნა ფარდა იმ მოვლენებს, რომელიც ჰქონდა და ჰქონდა დიდ რუსეთის რევოლიუციის პირველ დღიდან— რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში. შეადარა რა აწინდელი მდგომარეობა, როგორც საქართველოს ისევე მდებარე რესპუბლიკებისა, ისე შორეულ რუსეთის სხვადასხვა ნაწილებისა ჩვენს სამშობლოს მდგომარეობას, ორატორმა ნათლათ გამოხატა ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს საქართველოს და დანარჩენ რესპუბლიკებთა შორის, ე. ი. ის, რომ ყველგან გამეფებულია ანარქია და საქართველოში კი განმტკიცებულია დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს უკანასკნელი სასიამოვნო მოვლენა ორატორმა დაამტკიცა იმით, რომ საქართველოს დემოკრატია უფრო მომწიფებული შეხვდა დიდ რევოლიუციას, ვიდრე დანარჩენები, მაგრამ ამხ. რუსია ჯერ ბრძოლას დამთავრებულათ არა სთვლის, ვინაიდან საქართველოს დემოკრატიას ისევე ახვევია მტერი, ბურჟუაზია და თავად აზნაურობა რომელნიც ამ არჩევნებში უცხადებენ დემოკრატიას ბრძოლას და გამოდიან თავისმხრივ სხვადასხვა სიით. ორატორი მოუწოდებს მუშებს ფრთხილად მოეკიდონ არჩევნებს და არ წამოეგონ მტრების დაგებულ ანკესებს—და დაუჭირონ მხარი დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც შვა თვით დემოკრატიამ და რომლის მოქმედებაც უსათუოდ გამომხატველია დემოკრატიის სურვილებისა. (ორატორი კრებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა). ამის შემდეგ შემოვიდა შემდეგი რეზოლიუცია: „საზოგადო კრება საქართველოს არსენალის და საარტილერიო საწყობის მუშა-მოსამსახურეებისა, რომელმაც მოისმინა მოხსენება ამხ. რუსიასი შესახებ საქალაქო და დამფუძნებელ კრების არჩევნებისა, მოუწოდებს თბილისის პროლეტარიატს და მთელ დემოკრატიას მიიღოს ენერგიული მონაწილეობა არჩევნებში და ერთსულოვნათ დაადგეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის დროშის ქვეშ, რომელსაც როგორც ერთ-ერთს რაზმს საერთაშორისო მუშათა კლასისას, შეურყეველათ მიჰყავს პროლეტარიატი დემოკრატიზმით სოციალიზმისკენ“. აღნიშნული რეზოლიუცია კრებამ მიიღო ერთხმად.

თავმჯდომარე ანთიძე, მდივანი მიხ. ნემსაძე.

ფოთი. 6 თებერვალს ნავთსადგურის სახელოსნოების მუშებმა, მეზღვაურებმა და მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს ეკონომიურ ნიადაგზე. 6 თვის განმავლობაში ისინი მოითხოვდნენ მთავრობისაგან თავის პირდაპირი უფროსის საშუალებით ჯამაგირების მომატებას. ბოლო დროს, როცა მათ სამართლიან მოთხოვნილებებს ნავთსადგურის უფროსის ჯავახიშვილისა და შემდეგ დვალის წყალობით არავინ ყურადღება არ მიაქცია, მოითხოვეს და დელეგატიც გაგზავნეს თბილისში—ნიღბავთ მათთვის ის „პლეხანოვის მოსატყუბა“ მაინც (სიძვირის გამო), რომელიც ყველა სახელმწიფო დაწესებულებების მუშებს და მოსამსახურეებს ეძლევათ. ამანაც მიზანს ვერ მიაღწია. მაშინ მათმა კავშირმა მიმართა შრომის სამინისტროს ადგილობრივ წარმომადგენელს, რომელმაც სამართლიანად სცნო მუშების და მეზღვაურების ყველა წამოყენებული მოთხოვნილებანი და შესაფერი შუამდგომლობაც აღძრა შრომის სამინისტროს წინაშე, რომელმაც მიიღო მუშების და მეზღვაურთა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და პრინციპიალურათ მიღებულ იქმნა მათი მარობები. შრომის სამინისტრომ ამის შესახებ აცნობა შრომის კომისარს ფოთში და სთხოვდა ეცნობებია მუშებისათვის და მეზღვაურებისთვის გამოეგზავნეთ შესაფერი მასალებით ერთი დელეგატი. საკითხი უკვე გადაწყვეტის სტადიაში იყო, მაგრამ ნავთსადგურის მუშებმა და მეზღვაურებმა, თუმცა მიიღეს ყველა ეს ცნობები, მაინც არ დაუჯერეს მათ და გამოაცხადეს გაფიცვა... გადადგმულ ნაბიჯის შესახებ არაფერი იცოდა არც შრომის კომისარმა, არც ქ. ფოთის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურმა საბჭომ, არც ქალაქის თვითმართველობამ... უკანასკნელმა სრულიად შემთხვევით გაიგო ამის შესახებ.

იმავე საღამოს და მის დარბაზში შესდგა საჩქაროდ თათბირი, რომელმაც გადასწყვიტა წინდა პოლიტიკური მოსაზრებებით შესწყვიტოს გაფიცვა.

მეორე დღეს, დილის 11 საათზე ნავთსადგურის სახელოსნოებში მოწვეულ იქნა გაფიცულების კრება, რომელსაც დაესწრნენ ქ. ფოთის პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე გ. ნოღაია, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი პ. ქუთათელაძე, შრომის მინისტრის წარმომადგენელი ფოთში ლ. კიდურაძე და მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჩიტაია. დიდი ხნის კამათის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა მოხსნას გაფიცვა და შეუდგეს მუშაობას იმ პირობით, რომ 10 დღის განმავლობაში მათი ეკონომიური მოთხოვნილებებზე მიიღებენ ისინი გარკვეულ პასუხს და შემდეგ კიდევ ორი კვირის განმავლობაში დაკმაყოფილებულ იქნებიან ფულით. ქ. ფოთის პროფეს. კავშირების ცენტრალურ საბჭოს სახელით ამხ. ვასო ნოღაიამ ენერგიულად მხარი დაუჭირა დაჰპირდა კრებას, აგრეთვე დაესწრე დანარჩენ დაწესებულებების წარმომადგენლებმაც.

№

## პროვინცია

ხონ. აბაშა (თვ. მაზრა). 10 თებერვალს სოფელ აბჰაშის წყლის სადგურის და რემონტის მომუშავეთა საზოგადო ყრილობა მოხდა რკინის გზის სადგურზე. დაესწრნენ ამავ სადგურის მოსამსახურენიც. ყრილობის დღის კითხვა იყო საქ. დამფუძნებელი კრება და მისი მნიშვნელობა. ყრილობას თავჯდ. ვ. აბაშიძე. კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. დოლიძისა მიიღო შემდეგი დადგენილება: „საქართველოს დამფუძნებელი კრება არის ერთად ერთი იმედი და ჩვენი ბედის გამომჭედი, რომელმაც უნდა განამტკიცოს რევოლიუციის მონაპოვარი თავისუფლება, დაამყაროს სრული რევოლიუციური და დემოკრატიული წეს-რიგი—გადებთ რა მხედველობაში საქართველოს მრავალ ეროვნებას, რომელნიც უნდა იყვნენ თანასწორი მოქალაქენი ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოში და ამავე დროს გვრწამს რა სავსით ეროვნებათა (ინტერნაციონალური) და მშრომელთა პარტია ს. დ. მ. პ, რომლის ბრძნულმა და სწორ-გაბედულმა მოქმედებამ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა დარბევა ახირებისაგან, გამოცდილებით ვიცით რა ყოველ ჩვენ გაჭირვების ხანაში მხოლოდ ს. დ. მ. პარტიას ვხვდებით ჩვენ ყველანი მხარს ვუჭერთ საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტიის კანდიდატების სიას № 1-ს.

მუშა მოვლე.

ლაშე დვირძე (შორაპნის მაზრა). 9 თებერვალს შესდგა ამ საზოგადოების მცხოვრებთა მრავალ-რიცხოვანი კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთეს ს. დ. ორგანიზაციის სახელით ამხ. ალ. ჩინჩალაძემ და ა. ეზ—ძემ.

ორატორებმა დაასურათეს დამფუძნებელი კრების დიდი მნიშვნელობა და ბოლოს სხვათა შორის აუხსნეს ხალხს სიჭის ამბები. კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება დამფუძნებელი კრების შესახებ, ვადგენთ ერთხმად ხმა მივცეთ მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც დიდი ხანია იბრძოდა მშრომელი ხალხისათვის და რომელმაც აცილინა ბევრ საშინელებას ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა და მოიყვანა დამფუძნებელ კრებამდე, ეს არის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია სია № 1-ლი.

ლენინის რაზმის ვერაგული თავდასხმას კრება სცნობს, როგორც დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ გამოლაშქრებას, შავბნელი რეაქციისას და ადგენს: გაათაკაცებული ენერგიით ჩატარონ არჩევნები და სამსახურში გაწვეული ჯარისკაცნი კი გამოეცხადონ დაუყოვნებლივ რესპუბლიკის დასაცავად.

გაუმარჯოს საქ. ს. დ. მუშათა პარტიას.

ტემე.


## განცხადებანი

ექიმი
### კეკელია
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნიცე“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

[illegible]
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კოლოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—85.

ექიმი
### ნ. გ. გეგეჭკორი
სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყირიმიოვის ქუჩა № 10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელეფ. 17—68

ბავშვთა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
### ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და ბერლინში. ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი
### დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი ქალი
### ვაინი
იღებს სპეციალურად სამებით და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სოლოლაკი, 38 ეზოში.

ექიმი
### ი. ვ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვერის უბნის ქ. № 3.

### ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
### მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხახვ ნაკლულოვანებით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრონიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, [illegible] აფთიაქის ახლოს.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
### გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და მუცლისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალვარსანი და არსენალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

ექიმი ქალი
### ე. ს. პარუპეს — ბეგურიშვილი
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა სამებით დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იმმანოელის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იმმანოელის ქუჩიდან.

ექიმი ქალი
### რ. ბ. შიოლო-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამებით დარიგებას. საფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი
### ვ. ნ. ჩუპრინინი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქ., № 30.

ექიმი
### ანასტია ლვოვიჩი-ორლოვსკი
მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7.
ქსენიევის ქ. № 9, ტელ. 12—83. (25—9)

ექიმი მ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი [illegible]
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, საღამოს 5—6½, მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

[illegible]
### კერძო საავადმყოფო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

## სახელმწიფო თეატრი
ხუთშაბათს 13 თებერვალს ვ. ა. ნიკოლსკის გამოსათხოვი ბენეფისი ალეშკოს, იანსას, მოროზოვას, ზალიმსკის, ისეცკის, კანშინის, პოლიაევის, ნიკოლსკის მონაწილეობით
### „ბორის გოდუნოვი“
შაბათს 15 თებერვალს შვამბერგის ბენეფისი „აიდა“ კვარას, 16 თებერვალს დილით კურბატოვის ბენეფისი I „ჯამბაზები“, II „წითელი ქუდი“, III „ქარწინება უკრაინაში“.
საღამოს დირიჟორ ჩერეპნინის ბენეფისი „სნეგუროჩკა“.

## სახელმწიფო თეატრი „კავშირი“-ს დასი.
წარ. № 20 პარასკევს, 14 თებერვალს წარ. № 20
„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეათედ ი. გედევანიშვილის ზღაპარი ფეერია 1 ნაწ. 3 მოქმ. და 7 სურ.
### სინათლე
ბალეტი ბ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი.
რეჟისორი შალვა დადიანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია.
მზადდება: სინათლე II ნაწილი. (2—1)

## შაბიამანს
ნიშადურის სპირტს, ტეხნიკურსა და დაწმენდილ სიმჟავეებს, აკუმულატორის სიმჟავეს და სხვ. ამზადებს
### ქიმიური ქარხანა „ატომი“
თბილისი ელისაბედის ქ. № 204, ტელეფ. 152. (4—2)

## პ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი
სახ. სახ. არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ, ხუთშაბათს, 13 თებერვალს, 1919 წ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
### ქრისტინე
დრამა ოთხ მოქმედებად, ვ. ირეთელისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. ს. ანკარა, ე. ბარათაშვილი, ე. იანქოშვილი, ელ. ჩერქეზიშვილისა, ჯავახიშვილი; ბ. ბ. გ. ანაშვილი, ბაზლაძე, ნ. გოცირიძე, რ. სალაყაია, რატიშვილი, ა. მეტრეველი, ა. თავდგირიძე, ქ. ხახანაშვილი.
რეჟისორი ივ. ბარველი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
(2—2)

## ნავთი
თბილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ რომ 11 თებერვლიდან განყოფილების სადგომში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქ. კუთხე) დაიწყება განყოფილებისაგან მიღებულ 5 ცისტერნი ნავთის განაწილება. ნავთის მისაღები ორდერები მიეცემა მხოლოდ საუბნო და სარაიონო კომიტეტებს ძველი ანგარიშის და 6 სერიის ბარათების 2 და 3 სათადარიგო ტალონების წარდგენის შემდეგ თითო გირვანქა სულზე, მხოლოდ არა უმეტეს 5 გირვანქისა თვითეულ ბარათზე. ნავთის ფასი საწყობში 81 მან. 05 კაპ. საუბნო და სარაიონო კომიტეტები კი ვალდებულნი არიან გაყიდონ ფუთი არა უძვირეს 40 მანეთისა.
თბ. ქ. მმართველობის სასურსათო განყოფილება.

## სასოფლო მეურნეობის კურსები
მიწათ მოქმედების სამინისტრო ხსნის ამ მიმდინარე თებერვლის 17-ს სასოფლო მეურნეობის საღამოს კურსებს ორივე სქესის პირთათვის სამი განყოფილებით: პურეულის მოყვანის, საქონლის მოშენების (მერძეობით) და მებაღეობის (ძვირფასი მცენარეებით).
თხოვნას იღებენ მიწათ-მოქმედების სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, № 22 შესავალი ეზოდან, მესამე სართული), პირველი საათიდან სამ საათამდე.
თხოვნაზე ორი თითო მანეთიანი მარკა უნდა იყოს დაკრული. (10—7)


[illegible] სტამბა რუსთაველის, [illegible] № 1.